ა(ა)იპ სავალდებულო დაზღვევის ცენტრი აცხადებს ტენდერს Microsoft-ის შემდეგი სერვისების შესყიდვაზე:

ტენდერის ამოცანა:

შეძენის ობიექტს წარმოადგენს Microsoft-ის არსებულ ღრუბლოვანი(Cloud) სერვისების შეძენა, Microsoft-ის ოფიციალური პარტნიორი გამყიდველი კომპანიებისაგან.

შეძენის პირობები:

- სერვისის მომწოდებელი უნდა იყოს Microsoft-ის ოფიციალური Reseller-ი ან პარტნიორი. ან დისტრიბუტორი (უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი);
- ლიცენზიების მიწოდება უნდა მოხდეს შერჩეულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში;
- სერვისის მომწოდებელს უნდა ჰქონდეს პორტალი საიდანაც დამკვეთს ექნება მომხმარებლების გაზრდის შესაძლებლობა, ერთეული მომხმარებლის ლიცენზიის ღირებულების გაზრდის გარეშე. პორტალის არ არსებობის შემთხვევაში დამკვეთს იგივე მოქმედებების განხორციელება უნდა შეეძლოს დამკვეთისათვის ელ-ფოსტაზე მიწერით და ასეთ შემთხვევაში დამკვეთმა მოთხოვნა უნდა შეასრულოს არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღის დასრულებამდე;
- პორტალიდან შესაძლებელი უნდა იყოს მომხმარებელთა ზუსტი რაოდენობების ამოღება ნებისმიერი თარიღისათვის;
- დამკვეთს უნდა მისდიოდეს ავტომატური ინვოისი, ყოველთვიურად Microsoft365 admin center-დან ან/და სერვისის მიმწოდებლის პორტალიდან;
- დამკვეთს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი მომხმარებლების მართვა განახორციელოს, ისე რომ ამ პროცესში სხვა არ იყოს ჩართული (გარე მესამე პირი. მათ შორის თუნდაც სერვისის მიმწოდებელი);
- საჭიროების შემთხვევაში არსებული სერვისის მიმწოდებლიდან ახალ მიმწოდებელზე გადასვლა უნდა განხორციელდეს დამკვეთისთვის მაიკროსოფტის სერვისის წყვეტის გარეშე.
- საჭიროების შემთხვევაში ახალ მიმწოდებელზე გადასვლა უნდა განხორციელდეს 2026 წლის 18 თებერვლიდან და 2026 წლის 19 თებერვლის ჩათვლით პერიოდში (**შენიშვნა**: მოთხოვნილი ლიცენზიების Microsoft 365-ის ადმინისტრირების პორტალში შესყიდვის კონტრაქტის განახლების ვადა არის 2026 წლის 20 თებერვალი).

არსებული სერვისების აღწერა

Microsoft Power BI Pro – 10 ლიცენზია
Microsoft 365 Business Basic – 185 ლიცენზია
Microsoft Power BI Premium Per User – 1 ლიცენზია
Microsoft Entra ID P2 – 2 ლიცენზია

ასატვირთი დოკუმენტაცია:

- შემოთავაზებული ფასები (დოლარში). წლიური გამოწერის, ყოველთვიური გადახდის პირობის გათვალისწინებით. ინვოისისი სახით კომპანიის ბეჭდით დამოწმებული და ატვირთვის თარიღის მითითებით.

- Microsoft-ის ოფიციალური Reseller-ი ან პარტნიორის ან დისტრიბუტორის დამადასტურებელი დოკუმენტი;